იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯანდაცვის ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამის დასახელება: საზოგადოებრივი ჯანდაცვა Public Health

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ჯანდაცვის დოქტორი (PhD in Health Care)
მიმართულება: კლინიკური მედიცინა და საზოგადოებრივი ჯანდაცვა

პროგრამის ხელმძღვანელები: პროფესორი ზურაბ რაინაული
პროფესორი ლალი მეკოკიშვილი
მოწვეული პროფესორი გიორგი კამკამიძე

რეკომენდებულია უნივერსიტეტის
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ
ოქმი №15, 30 მაისი 2011წ.
უნივერსიტეტის ხარისხის
უზრუნველყოფის სამსახურის
ხელმძღვანელი /პროფ. დ. მჭედლიშვილი/

განახლებული სახით მიღებულია
ფაკულტეტის საბჭოს მიერ
ოქმი №11, 1 ივნისი 2011წ.
ფაკულტეტის დეკანი /პროფ. ლ. მეკოკიშვილი/

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ
ოქმი №16, 14 ივნისი 2011წ.
უნივერსიტეტის რექტორი /თ. ჯავახიშვილი/

თელავი 2011

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯანდაცვის ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამის დასახელება: საზოგადოებრივი ჯანდაცვა
ფაკულტეტი: ჯანდაცვის
კათედრა: მედიცინის
სადოქტორო პროგრამის დასახელება: საზოგადოებრივი ჯანდაცვა
პროგრამის ანალოგები: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი,
Penn State University - http://www.hhdev.psu.edu/hpa/grad/docs/PhD_Handbook.pdf
Walden University
-http://www.universities.com/Distance_Learning/Doctors_degree_in_Health_Services_Healthcare_Administration_at_Walden_University.html
Harvard University - http://www.fas.harvard.edu/~healthpl/
პროგრამის ხელმძღვანელები: პროფესორი ზურაბ რაინაული
პროფესორი ლალი მეკოკიშვილი
მოწვეული პროფესორი გიორგი კამკამიძე
აკადემიური განათლების საფეხური: დოქტორანტურა, III საფეხური
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური
სწავლების ენა: ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჯანდაცვის დოქტორი PhD in Health Care
სადოქტორო პროგრამის მოცულობა: კურსი მოიცავს 180 კრედიტს. მათ შორის 120 კრედიტი ეთმობა კვლევით კომპონენტს, ხოლო 60 კრედიტი – სასწავლო კომპონენტს.
სასწავლო კომპონენტებია:

ა) 15 კრედიტი – კვლევის თემატიკასთან დაკავშირებული სპეციალობების საგნები, რომელთაგან ერთ-ერთი აუცილებლად არის საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ჯანდაცვის ორგანიზაცია;
ბ) 10 კრედიტი – განათლების და კომუნიკაციის თანამედროვე მეთოდების შემსწავლელი დისციპლინები;
გ) 10 კრედიტი – პროფესორის ასისტირება;
დ) 15 კრედიტი – ბიოსამედიცინო კვლევის მეთოდები და ეთიკური ნორმები;
ე) 10 კრედიტი – სავალდებულო არჩევითი საგანებია.

ერთი საუნივერსიტეტო კრედიტი უდრის 25 სთ., რომელიც ნაწილდება საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებზე. საკონტაქტო საათი მოიცავს აკადემიურ, ხოლო დამოუკიდებელი მუშაობის საათი - ასტრონომიულ საათს.

სწავლების ფორმატი: ლექცია, სემინარი, კონსულტაციები, პროფესორის ასისტირება, სადოქტორო კვლევის განხორციელება, სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა.

დოქტორანტურაში მიღების წესი და წინაპირობები:

დოქტორანტურაში მიიღება მაგისტრის (საზოგადოებრივი ჯანდაცვის და ჯანდაცვის ორგანიზაციის მაგისტრი) ან მასთან გათანაბრებული (დიპლომირებული მედიკოსი, დიპლომირებული სტომატოლოგი) აკადემიური ხარისხის მქონე პირი. დოქტორანტურაში ჩარიცხვა ხდება მისაღები გამოცდების ჩაბარების საფუძველზე. მისაღები გამოცდები ტარდება: ა) იმ სპეციალობაში, რომელშიც უნდა შესრულდეს სადოქტორო კვლევა; ბ) მომიჯნავე სპეციალობაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
უპირატესობა მიენიჭება კანდიდატს, რომელიც წარმოადგენს დაგეგმილი კვლევის დაფინანსების დამადასტურებელ დოკუმენტაციას (სამეცნიერო გრანტს). კონკურენციის პირობებში გათვალისწინებული იქნება გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები, უმაღლეს სააწავლებელში პედაგოგიური მოღვაწეობის გამოცდილება, მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში, სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაცია, უნივერსიტეტის ინტერესები და ა.შ. (განსაზღვრულია ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით).

პროგრამის მიზანი და ამოცანები: პროგრამის მიზნებია ჯანდაცვის მიმართულებით თანამედროვე მკვლევარისა და მეცნიერის, აგრეთვე უმაღლესი საგანმანათლებლო სკოლის პედაგოგის ჩამოყალიბება. განხორციელებული სადოქტორო კვლევით კურსდამთავრებულმა უნდა გადაწყვიტოს აქტუალური სამეცნიერო პრობლემა (პრობლემები). რეგიონის მოსახლეობის სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში ჯანმრთელობის მდგომარეობის ღრმა მეცნიერული შესწავლით, რეგიონალურ და სოციალურ თავისებურებებთან მიმართებაში ანალიზითა და მიღებული შედეგების განზოგადებით, კურსდამთავრებულმა უნდა მიიღოს დარგისათვის ფასეული მეცნიერული და პრაქტიკული შედეგები, შეიმუშავოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები.

პროგრამის შედეგები: პროგრამის დასრულების შემდეგ ყალიბდება ჯანდაცვის მიმართულებით თანამედროვე მკვლევარი-მეცნიერი, რომელსაც შეუძლია ინფორმაციის ღრმა და კრიტიკული ანალიზი, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სამეცნიერო კლინიკო-ეპიდემიოლოგიური კვლევისათვის, სამეცნიერო დასკვნების გაკეთება.
კურსდამთავრებული ფლობს ბიოსტატისტიკას, პროფესიულ უცხო ენას, აკადემიური სწავლების ტექნოლოგიებს, იცნობს კლინიკური კვლევების პროტოკოლების წარმართვის თავისებურებებს, შეუძლია თავად დაგეგმოს ბიოსამედიცინო კვლევები, შეუძლია მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებით, ავადობისა და სიკვდილობის ძირითადი მიზეზების გათვალისწინებით მნიშვნელოვანი სამედიცინო პრობლემების გადაჭრა და მიღებული შედეგების გავრცობა ზოგად პოპულაციაზე. იცნობს როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთის ქვეყნების საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემებს. აქვს უმაღლესი სკოლის პედაგოგის უნარები.
შესრულებული სადოქტორო კვლევით კურსდამთავრებული იღებს მეცნიერულად და პრაქტიკულად ღირებულ შედეგებს, რის საფუძველზეც იძლევა მოსახლეობის შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფისათვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მეცნიერულად დასაბუთებულ რეკომენდაციებს.

პროგრამის შედეგები კვალიფიკაციათა ევროპული ჩარჩოს კრიტერიუმების შესაბამისად:

სადოქტორო პროგრამა: "საზოგადოებრივი ჯანდაცვა"	
სწავლის შედეგი/კომპეტენცია	უმაღლესი განათლების მესამე საფეხური
1. ცოდნა და გაცნობიერება: შესასწავლი დარგობრივი სფეროს, მეთოდოლოგიისა და დარგობრივი ეთიკის ცოდნა	აქვს სისტემური ცოდნა ჯანდაცვის ორგანიზაციასა და/ან კლინიკურ მედიცინაში, აღნიშნულ დარგებში ჩატარებული კლინიკური, ექსპერიმენტული, ეპიდემიოლოგიური კვლევების შედეგად მიღებული მონაცემების და არსებული უახლესი ლიტერატურის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე. აქვს სისტემური ცოდნა მოსახლეობის შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფების ჯანმრთელობის მახასიათებლების, მათზე მომქმედი გარემოსა და სოციალური ფაქტორების შესახებ, იცნობს საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნების საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემებს. შესწავლილი აქვს უმაღლესი განათლების საკანონმდებლო ბაზა, განათლების თანამედროვე ტექნოლოგიები. სრულად ფლობს ბიოსტატისტიკას, ბიოსამედიცინო კვლევების დაგეგმვის მეთოდებს, შესწავლილი აქვს ბიოსამედიცინო კვლევებთან დაკავშირებული სამართლებრივი და ეთიკური ნორმები. შესაბამისად შეუძლია საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე მუშაობა.
2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: არსებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დამოუკიდებლად გეგმავს, ახორციელებს და ზედამხედველობას უწევს სამეცნიერო კვლევას, შეუძლია შეიმუშავოს ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდები და მიდგომები, რომლებიც ორიენტირებულია ახალი ცოდნის შექმნაზე და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში. შეუძლია კვლევით განსაზღვრული მიმართულებით დაავადებების გამოვლენა, კლასიფიცირება, მიზეზშედეგობრივი კავშირების აღმოჩენა, აგრეთვე არსებული მონაცემების რეტროსპექტული ანალიზი, კრიტიკული შეფასება. მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის სამედიცინო პრობლემების გამოკვეთა, მიზეზების მეცნიერული და სტატისტიკური ანალიზი.
3.დასკვნის გაკეთების უნარი	ფართო გამოკვლევების ანალიზის საფუძველზე ადგენს მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს, იღებს სწორ და ეფექტურ გადაწყვეტილებებს წინააღმდეგობრივი იდეების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე. აქვს უნარი დამოუკიდებლად მიიღოს სწორი და ეფექტური გადაწყვეტილებები, ღრმა ანალიზით შეუძლია სამეცნიერო განზოგადებული დასკვნების გაკეთება.

4. კომუნიკაციის უნარი	შეუძლია შეაფასოს აუდიტორიის მომზადების დონე და გადასცეს მსმენელს ინფორმაცია მისთვის გასაგებ ენაზე. შეუძლია წარმატებით გაართვას თავი ამა თუ იმ პრობლემის განხილვისას მეცნიერულ დისკუსიას, შეუძლია სადავო ინფორმაციის მკაფიო და ეფექტური გადაცემა; შეუძლია მის მიერ წარმოებული გამოკვლევის შედეგების მკაფიო არგუმენტაცია, უცხო ენაზე სამეცნიერო სტატიების კითხვა და შესრულება, ასევე უცხო ენაზე მოხსენებების გაკეთება. ფლობს კომუნიკაციის თანამედროვე ტექნოლოგიებს.
5. სწავლის უნარი	ადექვატურად აფასებს, გეგმავს და ახორციელებს საკუთარი სწავლის პროცესს. შეუძლია სხვების სწავლების პროცესის დაგეგმვა და მართვა.
6. ღირებულებები	კარგად აცნობიერებს მორალური და ზნეობრივი ღირებულებების აუცილებლობას ბიოსამედიცინო კვლევების და პედაგოგიური მოღვაწეობის წარმართვისას, იცავს ზოგად ეთიკურ და ბიოეთიკის ნორმებს, იცავს პაციენტთა უფლებებს. ღრმად აცნობიერებს სამეცნიერო კვლევების კეთილსინდისიერად წარმართვის აუცილებლობას, რაც გამორიცხავს პლაგიატის არსებობას მის კვლევებში.

სწავლის შედეგების რუქა

სავალდებულო სასწავლო კურსები	კომპეტენციების ჩამოთვალი					
	ცოდნა	ცოდნის გამოყენება პრაქტიკაში	დასკვნის გაკეთების უნარი	უნარი კომუნიკაციის	სწავლის უნარი	ღირებულებები
სპეციალობის საგანი I (საზოგადოებრივი ჯანდაცვა)	+	+	+	+	+	+
სპეციალობის საგანი II	+	+	+	+	+	+
ბიოეთიკა	+			+		+
ბიოსტატისტიკა და მეცნიერული კვლევის საფუძვლები	+	+	+		+	
მტკიცებითი მედიცინა და კლინიკური კვლევები	+	+	+	+	+	+
უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა	+	+	+	+	+	+
ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები/კვლევა სწავლებაში და ელექტრონული კურსები	+	+	+	+	+	

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯანდაცვის ფაკულტეტის საუნივერსიტეტო კლინიკები, რეგიონის პირველადი ჯანდაცვის რგოლები, კახეთის რეგიონის საოჯახო მედიცინის ცენტრები,
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა წიგნადი ფონდით, კომპიუტერებით, სამეცნიერო ვებგვერდებით, კათედრებზე არსებული წიგნადი ფონდი.
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სამსახური", „კლინიკური ანატომიის დეპარტამენტი", „საზოგადოებრივი ჯანდაცვის საერთაშორისო სკოლა".
დასაქმების სფეროები:@დოქტორის აკადემიური ხარისხი კურსდამთავრებულს ანიჭებს უფლებას აწარმოოს აკადემიური და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა როგორც უმაღლეს სასწავლებლებში, ასევე კვლევით ინსტიტუტებში, სამედიცინო პროფილის დაწესებულებებში. მას შეუძლია რეგულირებით მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სამედიცინო პრაქტიკული საქმიანობის, ჯანდაცვის სისტემაში ადმინისტრირების უფრო მაღალ რანგში წარმართვა.
კურსდამთავრებული შესაძლებელია არჩეულ იქნას აკადემიურ თანამდებობაზე ჯანდაცვის მიმართულებით უმაღლეს საგანმანათლებლო ინსტიტუციებში.
სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა:
დოქტორანტურაში შეფასების სისტემა განისაზღვრება იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა დებულებების, ჯანდაცვის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების და განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.
შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი __ მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
(B) ძალიან კარგი __ მაქსიმალური შეფასების 81-90%;
(C) კარგი __ მაქსიმალური შეფასების 71-80%;
(D) დამაკმაყოფილებელი __ მაქსიმალური შეფასების 61-70%
(E) საკმარისი __ მაქსიმალური შეფასების 51- 60%
ორ უარყოფით შეფასებას :
(FX) ვერ ჩააბარა მაქსიმალური შეფასების 41-50% (ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება);
(F) ჩაიჭრა __ მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები (საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი).
სასწავლო კომპონენტის შემადგენელი დისციპლინები ფასდება შუალედური შეფასებებითა და დასკვნითი გამოცდით.
ამ კომპონენტების ქულათა ჯამი შეადგენს მაქსიმუმ 100 ქულას, მათი თანაფარდობა განისაზღვრება შემდეგი მოთხოვნების დაცვით:
შუალედური შეფასებები – მაქსიმუმ 60 ქულა;
დაკვნითი გამოცდა – მაქსიმუმ 40 ქულა.
შუალედური შეფასება მაქსიმუმ 60 ქულა - 3 პრეზენტაცია, თითოეული პრეზენტაციის მაქსიმალური შეფასება **20** ქულა **(20X3=60),** აქედან შინაარსის ლოგიკურობა 10 ქულა, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების ხარისხი - 5 ქულა, დისკუსიის და კითხვებზე პასუხის გაცემის უნარი - 5 ქულა.

სემესტრის დასაწყისში შეთავაზებული თემატიკიდან სტუდენტი თავად ირჩევს საპრეზენტაციო თემას.
საბოლოო შეფასება მაქსიმუმ 40 ქულა - განსაზღვრულია საგნების სილაბუსებში.
"პროფესორის ასისტირება" შეფასდება ჩათვლის ფორმით, სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესში მიღებული მონაწილეობის ანგარიშის მიხედვით (დოქტორანტურის დანართები და ფორმები, ფორმა 3).
მოდული ,,ბიოსტატისტიკა და მეცნიერული კვლევის საფუძვლები" ხორციელდება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, როგორც პარტნიორ უნივერსიტეტში და შეფასდება აღნიშნული უნივერსიტეტის შიდა დებულების შესაბამისად (განსაზღვრულია საგნის სილაბუსში).
სადოქტორო ნაშრომი შეფასდება შემდეგი პუნქტების მიხედვით: 1) ფრიადი (summa cum laude) (91 % და მეტი) - შესანიშნავი ნაშრომი;
2) ძალიან კარგი (magna cum laude) (81-90%)- შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
3) კარგი (cum laude) (71-80%) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
4) საშუალო (bene) (61-70%) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
5) დამაკმაყოფილებელი (rite) (51-60%) - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
6) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) (41-50%) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
7) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) (41% და ნაკლები) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

პროგრამის სასწავლო კომპონენტი

დისციპლინების მოკლე ანოტაციები და დისციპლინის წამყვანი პედაგოგები:

სავალდებულო საგნები/მოდულები:

1. სპეციალობის საგანი I - საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ჯანდაცვის ორგანიზაცია
ლექტორი: მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი ზურაბ რაინაული.
საგანი 10 კრედიტიანია. ისწავლება პირველ სემესტრში.
სასწავლო დისციპლინის გავლის დროს დოქორანტები სრულად აითვისებენ ჯანდაცვის ორგანიზაციის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს სამედიცინო დახმარების ყველა დონეზე, გაეცნობიან სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებას ამ დარგში და სამედიცინო დაზღვევისა და სოციალური დახმარების მნიშვნელობას სამედიცინო მომსახურეობის გაუმჯობესებაში.

2. სპეციალობის საგანი II - განისაზღვრება კვლევის თემატიკით, 5 კრედიტიანია, ისწავლება I სემესტრში.

3. ბიოეთიკა

ლექტორი: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მაგდანა ბეთანელი.
საგანი 5 კრედიტიანია ისწავლება I სემესტრში.
ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დისციპლინაა, რომლის ცოდნის გარეშე შეუძლებელია სამეცნიერო კვლევების ჩატარება ბიომედიცინაში. საგანი შეასწავლის ეთიკურ კოდექსს, რომლის შესაბამისად უნდა აწარმოოს კვლევა ყველა მკვლევარმა ადამიანზე (ან ადამიანთან მიმართებაში), ან ცხოველზე.
დისციპლინის გავლის შემდგომ დოქტორანტი ფლობს ცოდნას, თუ რას ნიშნავს ღირებული სამეცნიერო შრომა, შეუძლია შეადგინოს კვლევის ისეთი კითხვარი პაციენტისათვის, რომელიც კვლევის პროცესში არ დაარღვევს პაციენტის, ან კვლევაში მონაწილე ნებისმიერი პირის უფლებებს.

4. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები/კვლევა სწავლებაში და ელექტრონული კურსები

ლექტორი მოწვეული პროფესორი, ქეთევან ნანობაშვილი, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, თესაუ-ს ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის, ინფორმატიკის კათედრის სრული პროფესორი.
საგანი 5 კრედიტიანია ისწავლება II სემესტრში.
სალექციო კურსის ხანგრძლივობაა ერთი აკადემიური სემესტრი, კვირაში 2 სააუდიტორიო შეხვედრა (ლექცია ან სემინარი).
აღნიშნული კურსის შესწავლა მიზნად ისახავს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შესწავლას და მათი გამოყენებით ელექტრული კურსების შექმნას. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ეფუძნება თანამედროვე ინფორმაციულ და კომპიუტერულ საშუალებებს ცოდნის და ინფორმაციის მიღების, შენახვის და გარდასახვის პროცესების განსახორციელებლად. დღეს გამოთვლითი ტექნიკის არსებული ტექნიკური დონე განათლების სფეროში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების საშუალებას იძლევა. საგანმანათლებლო ტექნოლოგიების დარგში ჩატარებულმა თანამედროვე კვლე-ვებმა აჩვენა, რომ სწორედ აქ არის ჩადებული სწავლების ეფექტურობის ამაღლების უდიდესი რეზერვი, რადგან მცირე ჯგუფებშიც კი ტრადიციული სწავლებისას ყოველთვის არ არის შესაძლებელი ყველა სტუდენტის გააქტიურება და მათი ცოდნის შემოწმება. ამის გადაწყვეტა მხოლოდ ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებითაა შესაძლებელი.

5. მტკიცებითი მედიცინა და კლინიკური კვლევები

ლექტორი: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მაგდანა ბეთანელი.
საგანი 5 კრედიტიანია ისწავლება II სემესტრში.
თანამედროვე მედიცინა ეყრდნობა მტკიცებულებებზე დაფუძნებულ შედეგებს, საგანი განიხილავს მტკიცებითი მედიცინის რაობას, შეასწავლის სტუდენტს კლინიკური კვლევების სტრუქტურას, დიზაინს, კლინიკური კვლევის მეთოდებს: რანდომიზაცია, ორმაგი ბრმა კვლევა და ა.შ. პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი ფლობს საფუძვლიან ცოდნას კლინიკური კვლევების შესახებ, შეუძლია თვითონ იყოს კლინიკური კვლევის მონაწილე, აქვს უნარი დაგეგმოს კვლევები და მოახდინოს ჩატარებული კვლევების ღრმა მეცნიერული ანალიზი.

6. ბიოსტატისტიკა და მეცნიერული კვლევის საფუძვლები

ლექტორი: მოწვეული პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, გიორგი კამკამიძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (თსსუ) ასოცირებული პროფესორი, თსსუ საზოგადოებრივი ჯანდაცვის საერთაშორისო სკოლა.
მოდული 5 კრედიტიანია ისწავლება II სემესტრში უნივერსიტეტთაშორისი მემორანდუმის ფარგლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის საერთაშორისო სკოლის ბაზაზე.
მოდულის მიზანია დოქტორანტს შეასწავლოს ბიოსამედიცინო კვლევების დიზაინი და მონაცემთა ანალიზი, ეპიდემიოლოგიური და ქცევით კვლევები, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სერვისები.
სასწავლო კურსის გავლის შედეგად სტუდენტი გაიღრმავებს ცოდნას კვლევის დაგეგმის ზოგად საკითხებზე. პრაქტიკულად შეძლებს კვლევის დიზაინის - კვლევის პროტოკოლის შემუშავებას. შეძლებს კვლევის კითხვარის ჩამოყალიბებას, კვლევის სუბიექტებისა და მათი კვლევაში ჩართვის კრიტერიუმების განსაზღვრას, მონაცემთა მენეჯმენტსა და ანალიზს, კვლევის შედეგების წარმოდგენას. სტუდენტი შეძლებს მეცნიერულ და სტატისტიკურ ანალიზს, რაც წარმოადგენს აუცილებელ პირობას სწორი მეცნიერული კვლევის წარმართვისა და სათანადო შედეგების მიღებისათვის.

7. უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა

ლექტორი - პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი. ასოც. პროფესორი დავით მახაშვილი.
საგანი 5 კრედიტიანია ისწავლება II სემესტრში.
უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა არის პედაგოგიკა სწავლობს უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე სასწავლო-საგანმანათლებლო, სტუდენტთა სოციალიზაციის და მათი პროფესიული საქმიანობისთვის მომზადების პრობლემებს, იკვლევს უმაღლეს სასწავლებლებში ეფექტური მენეჯმენტის განხორციელების გზებს.
საგნის სწავლების ძირითადი მიზანია სამეცნიერო-კვლევითი და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, მეცნიერებისა და განათლების მიღწევების თანამედროვე დონეზე მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, პედაგოგიური მუშაობის ხელოვნების დაუფლება, სწავლისა და სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების შესწავლა, გაცნობა და პრაქტიკაში დანერგვა, პროფესიული საქმიანობის ოპტიმალური წარმართვისათვის მიღებული ცოდნის შემოქმედებითად გამოყენება, პედაგოგიური მოღვაწეობისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, უმაღლეს სკოლაში სწავლების ორგანიზაციისა და შინაარსის, სტრუქტურის, შეფასების სისტემის (ECTS) თანამედროვე მოთხოვნების გაცნობა, სწავლების ყველა საფეხურზე ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო ცხრილების შედგენისა და სილაბუსის დაწერის მეთოდების დაუფლება, მასწავლებლად ჩამოყალიბებისა და პროფესიული დაოსტატების კუთხით დამაჯერებელი ნაბიჯების გადადგმა.

სავალდებულო არჩევითი საგნები/მოდულები

1. **ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი მოდული - სულ 10 კრედიტი**
   ლექტორი მოწვეული მასწავლებელი ნატალია ბურდული.

მოდული არჩევითია, მასში შედის 2 საგანი ინგლისური ენა დონე B1-, და ინგლისური ენა B1+ , თითოეული 5-5 კრედიტი. სტუდენტს შეუძლია ის აირჩიოს II და III სემესტრებში. კურსის გავლის შემდეგ სტუდენტი იღებს ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელ შესაბამის სერტიფიკატს.

2. **განათლების ხარისხის მართვა, სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები**

ლექტორი პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ასოც. პროფესორი ნინო მოდებაძე.
საგანი არჩევითია, 5 კრედიტიანია და სტუდენტს შეუძლია იგი აირჩიონ III სემესტრში.
პროგრამის მიზანია დოქტორანტმა შეისწავლოს ბოლონიის წევრი უნივერსიტეტების და მათ შორის საქართველოს საგანამანათლებლო სისტემები, მათ სტრუქტურას და რეგულირების საკანონმდებლო ბაზა, საკრედიტო სისტემა და ხარისხის მართვის ძირითადი პრინციპები.
პროგრამის გავლის შემდეგ სტუდენტი ფლობს საფუძვლიან და სისტემურ ცოდნას ბოლონიის წევრი ქვეყნების საგანამანთლებლო სისტემებისა და მათი ძირითადი მიმართულებების შესახებ; იცის საქართველოს უნივერსიტეტებში მოქმედი საკრედიტო სისტემა, ხარისხის შეფასების გარე და შიდა პროცედურები, ინსტიტუციური და პროგრამული შეფასების პროცედურები.

3. **სამედიცინო განათლების საკანონმდებლო ბაზა და ტექნოლოგიები**

ლექტორი: მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი ლალი მეკოკიშვილი.
საგანი 5 კრედიტიანია ისწავლება III სემესტრში.
თანამედროვე მედიცინის სწავლება ეფუძნება შედეგებზე ორიენტირებულ და კომპეტენციებზე გათვლილ სწავლებას. იგი სრულიად განსხვავდება ტრადიციული საგნებზე ორიენტირებული სწავლებისაგან. დოქტორანტმა, როგორც მომავალმა სამედიცინო სკოლის პედაგოგმა აუცილებლად უნდა იცოდეს მედიცინის სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები. პროგრამის გავლის შემდეგ სტუდენტი ფლობს ცოდნას ინტეგრირებულ, პრობლემაზე დაფუძნებულ, პორტფილიოზე დაფუძნებულ და სხვა მედიცინის სწავლების ტექნოლოგიებს, შეუძლია შეადგინოს ამოცანები ე.წ. PBL-სესიებისათვის, ადგენს ტესტებს, კარგად აქვს შესწავლილი საკანონმდებლო ბაზა მედიცინის სწავლების შესახებ, მოტივირებულია იყოს საქმის კურსში მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებით.

კვლევითი კომპონენტი:

კვლევის თემატიკა: სადოქტორო პროგრამის ფარგლებში დოქტორანტები ჩაატარებენ შესაბამისი ლიტერატურის მეცნიერულ დამუშავებასა და შესაბამის ასაკობრივი ჯგუფებში ჯანმრთელობის მდგომარეობის, ჯანმრთელობის პრობლემების, სამედიცინო და სოციალური მომსახურეობის თავისებურებების პოპულაციურ კვლევებს.
პროგრამის ფარგლებში დამტკიცებული კვლევითი პროექტები:

1. **ახალგაზრდა თაობის ჯანმრთელობის მდგომარეობის ზოგიერთი მახასიათებელი კახეთის რეგიონში;**
2. **ხანდაზმული მოსახლეობის სამედიცინო და სოციალური დახმარების თავისებურებები კახეთის რეგიონში;**
3. **ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განვითარების და ფუნქციურ**

შესაძლებლობების თავისებურებანი კახეთის რეგიონში;

სავარაუდო კვლევის თემატიკა:

4. კანის სიმსივნეებისა და პრეკანცეროზების გავრცელება, განვითარების რისკები და ადრეული გამოვლენის გზები;

5. უნარშეზღუდულ და ცერებრალური დამბლის მქონე ბავშვთა სტომატოლოგიური სტატუსი და პირის ღრუს დაავადებათა პროფილაქტიკა

შესაძლებელია პროგრამის ფარგლებში ახალი კვლევითი პროექტის განხორციელება. ყველა კვლევითი პროექტის ბიოეთიკის ნორმებთან შესაბამისობას ადგენს უნივერსიტეტის ბიოეთიკის კომიტეტი, რომლის დასკვნის და რეკომენდაციის საფუძველზე დოქტორანტურის დებულების შესაბამისად ხდება პროექტის დამტკიცება.

კვლევასთან დაკავშირებული პუბლიკაციები - 20კრედიტი

სტუდენტმა კვლევის შედეგები უნდა გამოაქვეყნოს სტატიის სახით (არანაკლებ 4 სამეცნიერო სტატია, მათ შორის ერთი მაინც უნდა იყოს გამოქვეყნებული საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში); თითოეული სტატიის გამოქვეყნებისას დოქტორანტი ითვისებს 5 კრედიტს.

კვლევასთან დაკავშირებული სემინარები და მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში - 35 კრედიტი

კვლევის შედეგებს დოქტორანტი მოახსენებს სამეცნიერო კონფერენციებსა და თემატურ სემინარზე;

კონფერენციებზე მოხსენება - 5 კრედიტი.

შესაძლებელია კვლევასთან დაკავშირებული პუბლიკაცია ჩაენაცვლოს კონფერენციაზე პრეზენტაციას, ან პირიქით.

პროგრამის ფარგლებში ჩატარდება 2 თემატური სემინარი, თითოეული 10 კრედიტი.

I თემატური სემინარი ჩატარდება III სემესტრში, საჯარო განხილვაზე სტუდენტი წარმადგენს კვლევასთან დაკავშირებული ლიტერატურის მიმოხილვას, დასვავს კვლევის აქტუალობის საკითხს, კვლევის მიზანსა და ამოცანებს, წარმოადგენს კვლევის მეთოდებს, საჭიროებისას შემუშავებულ შესაბამის კითხვარებს პაციენტებისათვის.

II თემატური სემინარი ჩატარდება V სემესტრში სტუდენტი წარმოადგენს ჩატარებული მეცნიერული კვლევის შედეგებს, მიღებულ სამეცნიერო სიახლეს.

სადისერტაციო ნაშრომის გაფორმება და დაცვა - 65 კრედიტი

კრედიტების ათვისება ხდება სამეცნიერო ხელმძღვანელთან პერიოდული კონსულტაციებით, ძირითადად დამუკიდებელი მუშაობის ხარჯზე.

დოქტორანტი აღნიშნული კრედიტების ასათვისებლად შეასრულებს შემდეგ სამუშაოს:

- შესაბამისი ლიტერატურის მეცნიერული დამუშავება;
- კვლევის თემატიკასთან დაკავშირებული არსებული მასალის რეტროსპექტული ანალიზი;
- საკვლევი კონტინგენტისათვის შესაბამისი კითხვარების შემუშავება;
- კვლევითი პროექტით გათვალისწინებულ ბიოსამედიცინო კვლევების განხორციელება;
- მიღებული შედეგების ანალიზი და სტატისტიკურ დამუშავება;
- შესაბამისი მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნების და რეკომენდაციების შემუშავება;
- სადოქტორო ნაშრომის მომზადება საჯარო დაცვისათვის
- სადოქტორო ნაშრომის საჯარო დაცვა (დაცვის წესი განსაზღვრულია დოქტორანტურის დებულებით).

დოქტორანტურაში მისაღები საგამოცდო საკითხები ძირითად სპეციალობაში:

1. მოსახლეობის ჯანმრთელობა და მისი მაჩვენებლები
2. მოსახლეობის დემოგრაფიული განვითარება
3. ჯანდაცვის დაგეგმარება
4. ჯანდაცვის დაფინანსება
5. სამედიცინო სტატისტიკა
6. ჯანმრთელობის დაცვა საქართველოში
7. ადამიანის ჯანმრთელობაზე მოქმედი ფაქტორები
8. დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაცია
9. მოსახლეობის მოძრაობის მაჩვენებლების დახასიათება
10. მოხუცებულებითი დაავადებები (გერიატრია)
11. სამედიცინო კვლევების საფუძვლები
12. მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევა
13. სამედიცინო დახმარების დონეების სტრუქტურა და შინაარსი
14. საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ.

გამოსაყენებელი ლიტერატურა:

1. ო. გერზმავა ,,საზოგადოებრივი ჯან-დაცვა და მენეჯმენტი" 1998 წ.
2. ო. გერზმავა ,,სოციალური ჰიგიენა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაცია"1990 წ.
3. http://ec.europa.eu/health-eu/contact_en.htm
4. www.ncdc.ge www.whatispublichealth
5. www.cfi.org

საგნების პრერეკვიზიტების ცხრილი (საგნების წამყვან ლექტორთა მითითებით)

№	მოდული/სასწავლო კურსი	კოდი	სემესტრი	კრედიტი	სტატუსი	პრერეკვიზიტი	ლექტორი
1	სპეციალობის საგანი I (საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ჯანდაცვის ორგანიზაცია)	M.3.CM.06	I	10	სავალდებულო	არ აქვს	პროფესორი ზურაბ რაინაული
2	სპეციალობის საგანი II (მაგალითად სტომატოლოგია)	M.3.CM.15-დან	I	5	სავალდებულო	არ აქვს	ასოც. პროფ. მარადი ბეთლაშვილი
3	ბიოეთიკა	M.3.CM.05	I	5	სავალდებულო	არ აქვს	ასოც. პროფესორი მაგდანა ბეთანელი

#	საგნის დასახელება	კრედიტების განაწილება სასწავლო წლების/სემესტრების მიხედვით						საათების განაწილება სასწავლო კომპონენტზე		
		I წელი		II წელი		III წელი				
		I სემ	II სემ	III სემ	IV სემ	V სემ	VI სემ	სააუდ	დამ	სულ
I	**სასწავლო კომპონენტი**	**60**	**20**	**20**	**15**	**5**	**-**	**-**		
	სავალდებულო	50	20	15	10	5	-	-		
1	სპეციალობის საგანი I (საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ჯანდაცვის ორგანიზაცია)	M.3.CM.12	II	5 10	5 10	ბიოეთიკა		ასოც. პროფესორი მაგდანა ბეთანელი	60	190	250
2	სპეციალობის საგანი III	P. 2. P.10	II	5	5	სავალდებულო	არ აქვს	ასოც. პროფესორი	30	95	125
3	ბიოეთიკა			5	5			დავით მახაშვილი	30	95	125
4	ბიოსტატისტიკა და ეპიდემიოლოგიური კვლევის საფუძვლები		II	5	5	სავალდებულო	არ აქვს	მოწვეული პროფესორი	30	95	125
5	მტკიცებითი მედიცინა და ეპიდემიოლოგიური კვლევა			5	5			ქეთევან ნანობაშვილი	30	95	125
6	ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები/კვლევა სწავლებაში და ელექტრონული კურსები			5	5				30	95	125
7	საერთაშორისო ჯანმრთელობის უფლებები	M.3.CM.14	III	5	5	სავალდებულო/ არჩევითი	არ აქვს	პროფესორი	30	95	125
8	საკანონმდებლო ბაზა და ტექნოლოგიები			10	5	5		დალი მეკოკიშვილი	60+60	65+65	125+125
9	ინგლისური ენის პრაქტიკული	U.1E2	III	5	სავალდებულო/		არ აქვს	მოწვ. მასწ.			
	სავალდებულო არჩევითი			10		5	5				
1	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი B1	U.1E2	III	5					30	95	125
2	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი B1+			5	სავალდებულო/ არჩევითი	x	არ აქვს		30	95	125
3	11. გამომწერების ხარისხის მართვა, სახელმძღვანელო პრინციპები	P. 03. Q.01	III	5		x		ნინო მოდებაძე	30	95	125
4	12. ტექნოლოგიების შეფასების ტექნოლოგიები			5		x			30	95	125
II	**კვლევითი კომპონენტი**	**120**	**10**	**10**	**15**	**25**	**30**	**30**			
1	კვლევასთან დაკავშირებული პუბლიკაციები			20			5	5	10		
2	ანალიტიკური ანგარიშების, ინფორმაციული ბიულეტენების,			35		10	10	10	5		
3	სტატისტიკური მასალის გაფორმება და დაცვა			65	10	10	5	10	15	15	
	sul			180	30	30	30	30	30	30	

სასწავლო კურსი

1. *ბ. ბეთანელი, ნ. ბეთანელი, ნ. ბეთანელი, ნ. ბეთანელი.* *საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი.* თბილისი 2008
2. www.medicalnewstoday.com/sections/publichealth

სასწავლო კომპონენტში გამოყენებული ძირითადი ლიტერატურა

		3. ო. ნემსაძე, *ქირურგიული სტომატოლოგია,* თბილისი, 2005 4. ვ. ტრეზუბოვი და თანაავტორები., *ორთოპედიული სტომატოლოგია.* გამომცემლობა მთაწმინდელი, თბილისი 2006 5. ქ. გოგილაშვილი *ენდოდონტიის საფუძვლები.* თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009 6. ვ. ყიფშიძე, *პათოფიზიოლოგია.* თბილისი, 2005 7. გ. ბურკაძე., *ზოგადი პათოლოგიის საფუძვლები.* თბილისი, 2005 8. მ. შავდია., *ონკოლოგია.* ჯიხიაი 2010
3	ბიოეთიკა	1. 1. gegeSiZe d., vekua d., mamulaSvili b. // bioeTika. Tbilisi, 2001. 2. mamulaSvili b. // bioeTika. Tbilisi, 2008. 3. javaSvili g., kiknaZe g., barkalaia a. // saqarTvelos kanonmdebloba adamianis uflebebis Sesaxeb biomedicinis sferoSi. Tbilisi, 2001. 4. Human Rights and Biomedicine The Oviedo Convention and its Protocols // Concil of Europe, 2006
4	ბიოსტატისტიკა და მეცნიერული კვლევის საფუძვლები	1. Hulley SB, Cummings SR, Browner WS, Grady D, Heast N, Newman TB. Designing Clinical Research: An Epidemiologic Approach. Lippincott Williams & Wilkins, 2001 2. Bryan F.J. Manly. Multivariate statistical methods. A primer. Third edition Chapman & Hall/CRC, 2005 (chapter 7) 3. Principles and Practice of Public Health Surveillance, Second Edition. Edited by SM Teutsch, RE Churchil. Oxford University Press, 2000 4. Fundamentals of Biostatistics by Bernard Rosner. The last is sixth edition (Duxbury Press, 2005). 5. Epidemiology**:** Beyond the Basics. Moyses Szklo and F. Javier Nieto. Second Edition. 2007
5	მტკიცებითი მედიცინა და კლინიკური კვლევები	1. o.gerzmava "sazogadoebrivi jandacva da menejmenti" Tbilisi, 1998 **1. International Conference on harmonization of technical requirements for registration of pharmaceutticals for human use./ Guideline for Good Clinical Practice/ ICH harmonized Tripartite Guideline. 1996 p. 1-59.** 2. www.ebm.bmj.com www.metaanalysis.com docguide.com
6	უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა	ასათიანი, ა. (2008). უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა, თბილისი. „სტამბა გრიფონი".
7	ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები/კვლევა სწავლებაში და ელექტრონული კურსები	1. nanobaSvili q. (2009) Web – teqnologiebi. Tbilisi. teqnikuri universitetis gamomcemloba. 2. CaCaniZe g. (2004) internet-ganaTlebis teqnologiebi da misi ganviTarebis perspeqtivebi, Tbilisi. 3. maRraZe m., koniaSvili m., siWinava d., Caligava T., parkaZe g., tikiSvili m., zoziaSvili q., kaxiZe S., tabucaZe l., gogiCaiSvili v., losaberiZe T., melqoSvili T., seTuriZe r., metexeli g., lagvilava e. jafiaSvili c., munjiSvili T. (2008) ekonomikuri informatika. MS office 2007. Tbilisi gamomcemloba `samarTali~, gv. 178-209.
8	სამედიცინო განათლების საკანონმდებლო ბაზა ტექნოლოგიები	1.საქართველოს კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ (2001) www.civilin.org/welfare/law/039.pdf 2. saqarTvelos kanoni umaRlesi ganaTlebis Sesaxeb (pdf)

		3. samedicino ganaTlebis dargobrivi standarti (pdf) 4. umaRlesi ganaTlebis kvalifikaciaTa CarCo (pdf) 5. Tuningis dokumenti (pdf) 6. saleqcio masalebi, saprezentacio leqciebi (CD) 7. Centre for Evidence Based Medicine Oxford www.cebm.net 8. Cochrane Library www.update-software.com/cochrane/default.htm 9. MDCONSULT www.mdconsult.com 10. medportali www.medportal.ge
9	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი B1-	1. Sandra Heyer "Even more true stories."(An intermediate reader). Longmen. 2. Betty Schrampfer Azar "English Grammar." (Third edition)Longman.
10	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი B1+	1. Sandra Heyer "Even more true stories."(An intermediate reader). Longmen. 2. Betty Schrampfer Azar "English Grammar." (Third edition)Longman.
11	განათლების ხარისხის მართვა, სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები	*1.* samadaSvili, a. DjafariZe, S.(2007). ganaTlebis xarisxis marTva. Tbilisi. *2.. asaTiani., a. ,,umaRlesi skolis pedagogika~. Tbilisi. 2008 weli;* 3. modebaZe., n. ,, umaRlesi ganaTlebis sistema saqarTveloSi; instituciuri da programuli akreditaciis standartebi da procedurebi saqarTveloSi~. (saleqcio da saprezentacio masalebi); 4. saqarTvelos kanoni umaRlesi ganaTlebis Sesaxeb. Tbilisi. 2005 weli. 5. universitetebis wvlili boloniis procesSi. (saganamanTlablo struqturebis urTierTSewyoba evropaSi). redaqtorebi: xulia gonzalesi da robert vagenaari. Tbilisi, 2009.